დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 12 ოქტომბრის N 16/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N 04/23 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და ცვლილების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი შემუშავებულია პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი“ შესახებ 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების და საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) წესდების შესაბამისად და არეგულირებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის არსი

1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზანია ფორმალური განათლების ფარგლებში კოლეჯის საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გაცემა.
2. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. აღნიშნული პროგრამებზე უზრუნველყოფს ამ სფეროში საწყისი კომპეტენციების განვითარებას და შესაბამისად სწავლის დაწყება, არ საჭიროებს ამავე მიმართულებით სპეციალიზებულ ცოდნას.
3. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. აღნიშნული პროგრამები მოიაზრებს, ამავე სფეროში გარკვეული ცოდნის საჭიროებას, გულისხმობს კვალიფიკაციის ამაღლებას ან/და კომპეტენციების განვითარებას სფეროს ფარგლებში შესაბამისად, წარმოადგენს შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამას.
4. შესაძლებელია, როგორც პროფესიული მომზადების, ისე პროფესიული გადამზადების პროგრამის შექმნა ერთი მიმართულებით, თუმცა, ერთი პროგრამა ვერ იქნება ერთდროულად ორივე სახის.

მუხლი 3. მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძველი და პროცედურა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძველი შეიძლება იყოს:
   1.1 პროფესიის სტანდარტი;
   1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
   1.3 მოდული/მოდულები;
   1.4 საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები;

1.5 დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08, რომელიც არის პროფესიების საერთაშორისო ეროვნული კლასიფიკატორი ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების აღწერას;

1.6 ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის დამსაქმებლის/პარტნიორი ორგანიზაციის მოთხოვნა კადრების მომზადება/გადამზადებასთან დაკავშირებით.

2. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება ამ წესის დანართების შესაბამისად (დანართი N1, დანართი N2).
3. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს (დამსაქმებელი, კოლეჯის თანამშრომელი, სახელმწიფო უწყება და სხვ.).
4. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება მისი აქტუალურობის გათვალისწინებით, მოკვლეული ინფორმაციის ან დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე.
5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების კოორდინირებას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროცესში ჩართულნი არიან შესაბამისი უფლებამოსილების თანამშრომლები და პროგრამის განმახორციელებლები.
6. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს კოლეჯს, სწავლის შედეგების მიღწევისათვის მსმენელის სასწავლო დატვირთვა ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური შედეგებისათვის გათვალიწინებულ დატვირთვას, რაც არ გამორიცხავს მცირედ ცვლილებას.
7. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორცილების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ.
8. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს კოლეჯს, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინება შესაბამის მოდულზე დასწრების შედეგები.
9. შემუშავებულ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას, მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რათა უზრუნველყოფილი იყოს კოლეჯის შიდა რეგულაციებისა და პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა.
10. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა მტკიცდება ელექტრონულ ფორმაზე, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებით.
11. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა, ასევე, მტკიცდება (რეგისტრირდება) კოლეჯის აკადემიური საბჭოს ოქმით.

მუხლი 4. მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
   - A სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
   - B სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
   - C სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

2. გადაწყვეტილებას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განაცხადში.
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ მსმენელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ მსმენელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში ადგილების ჯამი.
6. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;
7. საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით.
8. გადაწყვეტილებას პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული რიცხვის ფარგლებში იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განცხადებაში.

მუხლი 5. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განხორციელება და განვითარება

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადმინისტრირებას უწევს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი.
2. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმის შემუშავებას უზრუნველყოფს მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით.
3. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განვითარება ეფუძნება პროგრამის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით.
4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასება ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმით გულისხმობს შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგებზე სწორ და დროულ რეაგირებას.
5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით გულისხმობს პროგრამის განხორციელების შემოწმებას, მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სტანდარტებთან შესაბამისობაში.
6. შეფასება მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებს:
   6.1 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამა;
   6.2 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები;
   6.3 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის ადმინისტრირება.
7. პროგრამის განხორციელების შესაფასებლად გამოიყენება კითხვარები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ჩატარებას და შედეგების ანალიზს, მათ შორის სწავლებისა და შეფასების საკითხებს, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და სასწავლო რესურსის შესაბამისობის, საკმარისობის, ხელმისაწვდომობის შეფასებას.

8. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, რის შედეგადაც შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ან/და პროგრამის განხორციელების მიდგომებში.

მუხლი 6. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება კოლეჯის აკადემიური საბჭოს ოქმის საფუძველზე.
2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას.
3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით.
4. ინიცირების საკითხს, განიხილავს კოლეჯის დირექტორი, რომელიც უფლებამოსილია ინიცირების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ინიცირების დაკმაყოფილების ან ინიცირებაზე უარის თქმის თაობაზე.
5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების/ცვლილებების ინიცირების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მენეჯერი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის განმახორციელებლების ჩართულობით უზრუნველყოს აღნიშნულ პროგრამაში ცვლილების/ცვლილებების შეტანას ინიციატივის დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
6. პროგრამაში განხორციელებული ან/და პროგრამის განხორციელების მიდგომაში შეტანილი ცვლილებების დანერგვას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
7. თუ პროფესიული მომზადებისა ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და პროფესიულ პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, კოლეჯი ვალდებულია მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
8. თუ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, კოლეჯი აცნობებს აცნობოს ცენტრს და წარადგენს მასთან გაფორმებული ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ.
9. თუ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში შეიცვალა განმახორციელებელი პირი/პირები, აღნიშნული ცვლილების შესახებ კოლეჯი აცნობებს ცენტრს და წარადგენს მათი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ/ებ/ს და მასთან/მათთან გაფორმებული ხელშეკრულება.
10. თუ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში შეიცვალა პროგრამის სახელწოდება, მოცულობა, განხორციელების ადგილი ან სწავლის შედეგი/შედეგები, აღნიშნულის შესახებ დაწესებულებამ უნდა აცნობოს ცენტრს და წარადგინოს განახლებული პროგრამა.
11. თუ გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ან სტანდარტიდან ამოღებული იქნა ის

კვალიფიკაცია, ან კოლეჯმა დაკარგა იმ პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის ფარგლებში მომზადებულია პროფესიული მომზადებისა ან პროფესიული გადამზადების პროგრამა, კოლეჯი უფლებამოსილია მხსნელებს სწავლა დაასრულებინეს იმ პროგრამაზე, რომელზეც მოხდა მათი ჩარიცხვა.

12. ამ მუხლით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრს აცნობებს შესაბამისი ცვლილების შესახებ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე არანაკლებ 30 სამუშაო დღით ადრე.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 12 ოქტომბრის N 16/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N 04/23 ოქმით

დანართი#1 - უფლების მოპოვების გარეშე

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

COLLEGE

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება:
პროგრამის სახე: **პროფესიული მომზადება** **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: **2 3 4 5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური -------- მაქსიმალური ---------**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:
პროგრამის მიზნები:
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
პროგრამის შემუშავების საფუძველი:
პროგრამის მოკლე აღწერა:

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა ----------	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 12 ოქტომბრის N 16/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2023 წლის 14 თებერვლის N 04/23 ოქმით

დანართი#2 - უფლების მოპოვებით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

COLLEGE

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვებით	
პროგრამის სახელწოდება	
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	
პროგრამის სახე	
განხორციელების ენა	
სფერო	
პარტნიორები	
კვალიფიკაციის დონე	
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე	
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	
პროგრამის აღწერა	
პროგრამის მიზანი	

პროგრამის შინაარსი	
სასწავლო კვირა: 1	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	
სწავლის შედეგები	
სწავლის მეთოდები	
შეფასების მეთოდები	
სასწავლო გარემო	
თემატიკა	
სასწავლო კვირა: 2	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	
სწავლის შედეგები	
სწავლის მეთოდები	
შეფასების მეთოდები	
სასწავლო გარემო	
თემატიკა	
სასწავლო კვირა: ...	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	
სწავლის შედეგები	
სწავლის მეთოდები	

შეფასების მეთოდები	
სასწავლო გარემო	
თემატიკა	

დაშვების წინაპირობები
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

სწავლის შედეგები

დასაქმების სფერო/სფეროები
პროგრამის შემუშავების საფუძვლები

ლოკაცია და აღჭურვილობები

ლოკაცია		
რეგიონი	რაიონი	მისამართი
აღჭურვილობები		

სასწავლო რესურსი			
N	ტიპი	დასახელება	მოკლე აღწერა

ადამიანური რესურსები	
სახელი	
გვარი	
დაბადების თარიღი	
განათლება	
ტრენინგები	
სამუშაო გამოცდილება	